№ 50
სამშაბათი, 7 მარტი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 50
სამშაბათი, 7 მარტი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

5-ს მარტს, ქ. გორს გარდაიცვალა
თავადის ალექსანდრე ანდრონიკაშვილის ასული
**კნეინა სალომე აფხაზისა,**
რასაც იუწყებიან ძენი გარდაცვალებულისა თავადნი ალექსანდრე, გიორგი და ივანე დიმიტრის ძენი აფხაზნი დებითურთ.

პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად იქნება გარდახდილი ყოველს დღეს დილის 12 საათსა და საღამოს 7 საათზედ; განსვენებულს წირვას მოასმენინებენ სამშაბათს, 7 მარტს, დილის ათს საათზედ, გორის საკრებულო ტაძარში; ხოლო დაკრძალვა გვამისა იქნება ოთხშაბათს, 8-ს მარტს ნაშუადღევის ორის საათის ნახევარზედ, ქ. ტფილისში, ნავთლუღის მახლობელს წმ. ბარბარეს ეკკლესიაში.
(2—1080—1)

ნათესების სეტყვისაგან დაზღვევის საურთიერთო საზოგადოების მმართველობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ 1895 წელს 1 თებერვალს გაიხსნა II რიგის დაზღვევა ვენახებისა, თამბაქოსი, სვიისა და სხვა კულტურულ მცენარეულობისა ყველგან.

მმართველობის წევრნი.
დირექტორები: { ნ. ცირკუნოვი. გ. იასინსკი. თავ. ფ. ურუსოვი.
გამგე ვ. ტარგონსკი.

საზოგადოების ინსპექტორის პავლე მიხეილის ძის ოკულიჩის მოსკოვში ყოფნის გამო ყოველ-გვარ ცნობებისა და პირობების შეტყობა მსურველთ ვლ. დიმირ დავითის ძე ქალანთაროვისაგან შეუძლიანთ, ადრესი ძველია, ,,სევერნი ნომრები‘‘, № 25, დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის.

გამგე ტარგონსკი.
(3—1012—2)

ვ ე ქ ი ლ ი

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს,** როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 სათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.
15—11)

## ახალი ამბავი

—

*** კვირას, ნაშუადღევის 4 საათზედ, ტფილისში პეტერბურგიდგან მოვიდა სამწუხარო დეპეშა, რომელმაც გვაუწყა ტფილის ქალაქის მოურავის პ. ა. იზმაილოვის გარდაცვალება. იზმაილოვი გარდაცვლილა კვირას, დილის 11 საათზედ. მთელი ქალაქი დიდად შეაწუხა იზმაილოვის ავადმყოფობამ და უდროოდ გარდაცვალებამ.

*** თავადი ივანე მუხრან-ბატონი ძალიან ავად არის.

*** როგორც ნამდვილად შევიტყეთ, გაზ. „მეურნის“ რედაქტორს ბ-ნს ვ. სულხანიშვილს გაზეთის რედაქტორობა და გამოცემა ილია ჭყონიასათვის გარდაუცია. გაზეთი ამის შემდეგ ქ. ქუთაისში გამოვა.

* გუშინ რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

*** ქართულის დრამატიულის საზოგადოების სასარგებლოდ გამართულს კონცერტზედ შემოსულა სულ 600 მან.

*** ავლაბარში, მთავარ-ანგელოზის ქუჩაზედ იპოვეს გვამი ხანჯლით მოკლულის ყმაწვილის კაცისა.

*** შორაპნის რკინის გზის სადგურის უფროსი აცხადებს ჭიათურის რკინის გზით წამსვლელთა საყურადღებოდ, რომ ყოველ-დღე, შუადღის შემდეგ, ხუთის საათის ნახევარზედ გავა მატარებელიო.

*** იმ ამბების დასამატებლად, რომელიც ბათუმიდგან შეგვატყობინეს გუშინ-წინ, დღეს იქიდგანვე კიდევ მოგვივიდა შემდეგი: საურთიერთო საზოგადოების მმართველობა რომ აირჩიეს, შემდეგ საბჭოს ამორჩევა დაიწყეს. 8 კაცი ამოირჩიეს: გრიელსკი, კომპანიეც, ანჯაფარიძე, ზიპელმეისტერი, ლომინაძე, საბაშვილი, გედევანიშვილი და კრუბიევსკი. ასეთი მცირედი ქართველების ამორჩევა თვითონვე ქართველების ბრალიაო, იწერება ჩვენი ბათუმელი კორესპონდენტი, რადგან ერთი პირი არა აქვთო.

ძლიერ სამწუხაროა, თუ მართლა ასეა ქართველების საქმე ბათუმში.

*** ქუთაისიდგან ატყობინებენ „ნოვ. ობოზ.“-ს, „რომ სრულიად მართალი არ არის ის ხმა, რომელიც ტფილისის გაზეთებში ეწერა, ვითომ ქუთაისის ბანკის რევიზორს ბ. ჟუკოვსკის ძლიერ მოსწონებოდეს ბანკის მმართველობის წესებიო. მართალია ბ. ჟუკოვსკის ძლიერ მოეწონა მიმართულება და აზრი ბანკისა, მაგრამ ბანკში არსებულის წეს-რიგის შესახებ კრინტიც არ დაუძრავსო“.

*** გუშინ, ორშაბათს, 6 მარტს, ქალაქის გამგეობას საგანგებო სხდომა ჰქონდა ქალაქის მოურავის პ. ა. იზმაილოვის გარდაცვალებისა გამო და, მოისმინა-რა წინადადება ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებლის ა. ა. ივანენკოსი, დაადგინა:

1. განეცხადოს განუსაზღვრელი მწუხარება და ღრმა თანაგრძნობა განსვენებულის ქვრივსა, დედასა და დას.

2. ქალაქის თვით-მმართველობამ გარდაიხადოს განსვენებულის პანაშვიდი ვანქის ტაძარში.

3. განსვენებულის ცხედარი დაკრძალულ იქმნას ქალაქის ხარჯით და ნება-რთვა აიღონ, რომ მისი გვამი ვანქის ტაძარში დაასაფლავონ.

4. პანაშვიდსა და დასაფლავებას დაესწროს მთელი ქალაქის საბჭო და გამგეობა.

5. პანაშვიდისა და გვამის დაკრძალვის დღე ქალაქის გამგეობიმ იუწყოს.

6. განსვენებულის ოჯახს დაენიშნოს პენსია წელიწადში 1200 მან.

7. ქალაქის საბჭოს დარბაზში, ჯეროვანის ნება-რთვის აღებისათანავე, ჩამოიკიდოს სურათი განსვენებულისა.

8. იშუამდგომლოს ქალაქმა, რომ ვერის დაღმართსა და ვერის ხიდს იზმაილოვის დაღმართი და ხიდი ეწოდოს.

9. დასაფლავების მოსაწყობად ამორჩეულ იქმნას განსაკუთრებული კომისია და იმასვე მიენდოს ქალაქის გამგეობასთან ერთად იმისი გამორკვევაც, თუ როგორ უნდა ეძლეოდეს განსვენებულის ოჯახს პენსია.

10) განსვენებულის გვამის დასაკრძალავად და მისს სამარეზედ ძეგლის დასადგმელად ქალაქის გამგეობასა და კომისიას მიეცეს ხუთასი თუმანი.

ეს დადგენილება ქალაქის გამგეობისა ქალაქის საბჭოს წარედგინება მის და განსახილველად და დასამტკიცებლად.

*** გუშინ, 6 მარტს, ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ა. ა. ივანენკომ აწ გარდაცვალებულის ქალაქის მოურავის ქვრივს ქ-ნს ლიდია ივანეს ასულს იზმაილოვისას შემდეგი ორი სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგს.

„ქალაქის გამგეობა, დიდად შეწუხებულია-რა დაუვიწყარის პავლე ალექსანდრეს ძის უდროოდ გარდაცვალების გამო, გიცხადებთ თავისს განუსაზღვრელს მწუხარებასა და ღრმა თანაგრძნობას მაგ დიდის დანაკარგისათვის“.

„მთელი ტფილისი მწუხარებაშია იმ კაცის გარდაცვალებისა გამო, რომელმაც თავისი სიცოცხლე ტფილისს შესწირა. გიცხადებთ მწუხარებასა და თანაგრძნობას, როგორც ქალაქის თვით-მმართველობისას, აგრეთვე ჩემსასაც. მცხოვრებლების საერთო მწუხარება მცირეოდენადმდეც განუგეშებთ მაგ თქვენს დიდს მწუხარებაში“.

ამას გარდა ქალაქის გამგეობამ პეტერბურგში შეუთვალა, შემურვეთ ცხედარი და ქალაქის ხარჯით ტფილისში წამოასვენეთო.

*** ბორჯომიდგან გვატყობინებენ, რომ «შავის წყლის» რკინის გზის მახლობლად, სადაც ამ ჟამად ხიდი გაჰყავთ მდ. მტკვარზედ, მუშაობის უფროსი მეტად თურმე უდიერად ეპყრობა მუშა ხალხს, რომელიც, ვინ იცის, საიდგან არ მოდის ორიოდ გროშის საშოვნელად. უდიერობა იმაშია თურმე, რომ უფროსი მუშაობისა არ აძლევს თავისს დროზედ მუშებს ფულს და თუ გაჰბედავს ვინ-

## ფელეტონი

—

### გაზაფხული.

—

კვლავ გაზაფხული, კვლავ ია ვარდი,
კვლავ ბულბულთ სტვენა დაგვიტკბობს სმენას,
კვლავ სიხარული, ცეკვა, ნავარდი
და კვლავ ბუნება ეძლევა ლხენას!

—

მაგრამ ვით ვჭვრეტდე ვარდსა და იას,
ვით შევსტრფიალო მზიანსა დღესა,
ვით გამახაროს უტყვთა მეჯლისმა,
ოდეს გულს ჰგმირავს მეტყველთა კვნესა?

ევდოშვილი.

### ღირსია თუ არა?

(დასასრული)

და აი, ისწავლა კიდეცა სტეფანემ მხატვრობა: როცა მიკიტანთან იყო, იმასთან, სხვათა შორის, დაიარებოდა მხატვარი ივანე, კაცი ყოჩაღი და ხელობით განთქმული. ივანემ გაიგო თუ არა სტეფანეს ასეთი თავ-გარდასავალი და აგრეთვე მისი სურვილი, ის ჯერ დაფიქრდა, მაგრამ მერე სთქვა: არა უშავს-რა, თუ არ გამოდგება დავითხოვო.‘‘

მიიღო სტეფანე სამუშაოდ, გადაუწყვიტა ღირებული ჯამაგირი და დააწყებინა მუშაობა. სტეფანემ სულ მცირე ხნის განმავლობაში შეისწავლა ხელობა და კიდეც მოუმატეს ჯამაგირი. გადიოდა დრო, სტეფანეც საუკეთესოდ სწავლობდა ხელობას; თითქმის სამს წელიწადში ორ მანეთამდე ავიდა იმისი დღიური ჯამაგირი.

იქნება გაიკვირვო, მკითხველო, სტეფანემ რომ თავისს ხელობას თავი დაანება? ამაზედ ის უნდა ითქვას, რომ ადამიანი ყოველს შემთხვევაში ერთი და იგვე არ არის, ყოველთვის ერთი და იგივე აზრი არ უტრიალებს თავში. ნურავინ იტყვის: დღეს რომ ბრძენი ვარ, ხვალაც ბრძენი ვიქნებიო. შეიძლება დღევანდელს ბრძენს თვისდა უნებურად ხვალ ისეთი სისულელე წამოსცდეს, რომ თვით სულელისაგან მოულოდნელი იყოს. შეიძლება დღევანდელმა კარგმა მგოსანმა, ხვალ იმნაირად ააჟღეროს ჩანგი, რომ ჩას გუდა-მბერავი მესტვირეც-კი სჯობდეს. არა იმიტომ, ბრძენს ბრძნობა დაჰვიწყებოდეს და ან მგოსანს მგოსნობა, იმიტომ, რომ კაცი ექვემდებარება ბუნებას და ბუნებას, როგორც იგი ამინდში მოახდენს ხოლმე ცვლილებას, ხან წვიმა მოჰყავს, ხან სეტყვა, ხან თოვლი, ქარი და სხვა, ისე ადამიანზედაც უყვარს ხუმრობა. გუშინდელი მძლავრი დღეს სუსტდება და დღევანდელი ბეჩავი და დაჩაგრული ხვალ ძლიერებით და თავისუფლებით იმოსება და იმკობა: ცხოვრება ცვალებადია და სტეფანემაც მიკიტნობას თავი დაანება. ისიც კაცი იყო, იმაზედაც იმოქმედა და მასშიაც მოახდინა ცვლილება ამ ცვალებადობის კანონმა.

მერე რა იყო მიზეზი, რომელმაც სტეფანე მხატვრად გარდააქცია? მიკიტნობის დროს ერთხელ ეწვივნენ რამდენიმე დარდიმანდი კინტოები, გაჰმართეს ლხინი; მიიწვიეს თვითონ სტეფანეც და იმისს მშვენიერის ბაიათებით აღტაცებულნი მიაძახებდნენ ხოლმე ,,ჯან სტეფან-ჯან, ჯან‘‘-ო! როცა მოქეიფეები კარგად დაითვრნენ და დაჰკარგეს სრულიად გონება, მოუვიდათ შუღლი რაღაც მიზეზების გამო და დაუწყეს ერთმანეთს უშვერის სიტყვებით ლანძღვა და თითქმის დანებითაც-კი იწევდნენ ერთმანეთზედ. იმათ გასაშველებლად, რასაკვირველია, სტეფანეც ჩაერია; თუმცა-კი ბევრსა ჰნანობდა ბოლოს დროს, რადგან გაშველების დროს დანა მოჰხვდა და დაიჭრა; მაშინვე გაგზავნეს სამკურნალოში და თითქმის ოთხს თვეს ავადმყოფობდა. აი, სწორედ ეს მიზეზი იყო რომ სტეფანე შენობის მხატვრად შეიქნა.

სტეფანეს მართალია შესძულდა მიკიტნობა, მაგრამ იმის-და საუბედუროდ არ შესძულდა ის საძაგელი ლხინი და დროს გატარება, რომლის მეოხებითაც რამდენსამე თვეს ჰკვნესოდა. სანამდის პირველს ოსტატთან მუშაობდა, ვერ ჰბედავდა საქმე-დღე გაეცდინა, მაგრამ მოიხელებდა თუ

მე და სთხოვს, ფულის მიცემის მაგიერად ერთი კარგად გაჰბერტყავს და ისე ისტუმრებს, როგორ-თუ ფულის თხოვნა გამიბედეო. ამნაირად დამფრთხალი მუშა ხალხი ფულის თხოვნას ველარა ჰბედავს, რადგანაც სხვა ბევრი მაგალითი აქვთ გათვალისწინებული და თავისს ნამუშავრის საფასურის მაგიერად არა ჰსურთ ცემა-ტყეპა მიიღონ.

საკვირველი უფრო ის არის, რომ როგორც იტყობინებიან, ერთი აქაური ინტელიგენტი თურმე ხელს უწყობს ამ ვაჟბატონის საქციელს, იმის მაგიერად რომ რაიმე გზით ჩააგონოს.

⁂ ქუთაისი: 3 მარტს წვიმების გამო ტყვიბულის გზაზედ, მე-14 ვერსზედ, ჩამოწვა 40 საჟენზედ ქვის ზვავი და 30 საჟენზედ მიწის ზვავი. დღეს მეოთხე დღე არის, მაგრამ მაინც ვერ გასწმინდეს გზა, რადგანაც ძლიერ ვიწრო ადგილია და მიწისა და ქვის გამოტანა ძნელია. მატარებლების მიმოსვლა ქუთაისსა და ტყვიბულს შუა შეჩერებულია.

⁂ ბოსლევი, (ქიათურის გზა): 5 მარტს დიდის წვიმების გამო მე-16 ვერსზედ ჩამოწვა მიწის ზვავი 50 საჟენზედ.

⁂ ბათუმი: 5 მარტს დილის 7 საათზედ და 35 წუთზედ საქონლის მატარებელმა გასრისა ოზურგეთის მაზრის სოფ. მეცის მცხოვრები მღვდლის შვილი ლუკა დავითის ძე კალანდაძე.

⁂ კავკავი. ხანგრძლივის ლოდინის შემდეგ კავკაველებს წადილი გვისრულდება: აქაური ქართული ინტელიგენცია დიდს სამზადისშია ქართული წარმოდგენის გამართვისათვის. უნდა წარმოადგინონ ა. ცაგარლის კომედია: ,,რაც გინახავს, ვეღარ ჰნახავ'' და ვოდევილი. წარმოდგენა იქნება ან ამ დიდ მარხვაში და ან ნაალდგომეებზედ. კავკავის ქართველობა სიხარულით ეგებება ამ საქმეს. იმედია, მოთავენი ამა საქმისა რიგიანად შეასრულებენ თავიანთს მოვალეობას და ხალხს არ აუცრუებენ გულს იმისთანა სასარგებლო საქმისადმი, როგორიც არის თეატრი.

⁂ სად. უჯარა: 5 მარტს ღამის 11 საათსა და 30 წუთზედ ასტყდა საშინელი თოფის სროლა. ბაქოსკენ მიმავალი სახალხო მატარებელი სადგურზედ იდგა. ტყვიამ ვაგონები დახვრიტა; მგზავრებს არა დაჰშავებიათ-რა. ღამის 1 საათსა და 30 წუთზედ შესწყდა თოფის სროლა, მაგრამ თოფის მაგიერად მოისმოდა საშინელი ყვირილი იქვე ახლო ურკარტის ქარხნიდგან, გვიშველეთო. მაშინათვე ქარხანისაკენ გაეშურნენ რკინის გზის ჟანდარმი და მოხელენი. იქ ნახეს ერთი მოკლული დარაჯი და მეორეც პრიკაშჩიკი, რომელმაც აუხსნა, რომ ოცი თუ ოცზედ მეტი ყაჩაღი თავს დაგვესხა, ფულის ყულაბი გასტეხეს და ფული წაიღესო.

⁂ ქ. სიღნაღი: 23 თებერვალს სოფელ ქვემო-მაჩხაანს დიმ. ნადირაძის სახელობაზედ დაარსდა ქვემო-ქიზიყის სასოფლო დეპო. დიდ-ძალის ხალხის თანადასწრებით იქაურს სამღვდელოებას გარდაუხდია პარაკლისი, რომლის დასრულების შემდეგ დეპოში დაუყოვნებლივ დაიწყო საქმის წარმოება. ერთის საათის განმავლობაში საწევრო ფული 480 მანეთი შეუტანიათ და საქონელიც ბევრი გაყიდულა. ხალხი დიდის სიამოვნებით მიეგება ამ ახალს დაწესებულებას, სოფლის ვაჭარ-ჩარჩები-კი ძლიერ შეწუხებულები არიან.

⁂ სოფ. ვაქირი, (სიღნაღის მაზრა): სოფლის ჩარჩების გავლენით აქ ამას წინად შესდგა განჩინება, რომლის ძალით ექვსი ვითომ-და მავნებელი კაცი უნდა გაგზავნილიყვნენ ციმბირში. ხალხი უარს ადგა, ამ განჩინებაზედ ხელის-მოწერა არ უნდოდა: „ჩვენ რომ მაგათი ავ-კაცობა არ ვიცით, აბა როგორ ჩავდგებით მაგათ წვრილ-შვილების ცოდვაშიო?!.“ მიუხედავად ამისა ვაჭრებს და ჩარჩეს გადუბირებიათ სოფლის ერთი ნაწილი და ხელ-მოწერილი განჩინება გაუგზავნიათ მაზრის უფროსისათვის. სამი კაცი უკვე დაუტუსაღებიათ, მხოლოდ დანარჩენს სამს, რომელნიც, კორესპონდენტის სიტყვით, უფრო საეჭვო ყოფა-ქცევისანი არიან, როგორღაც თავი დაუძვრენიათ. მაზრის უფროსს მოუწერია, მე თითონ ჩამოვალ და გამოვიძიებ ამ განჩინების სიმართლესაო. ჩამოსულა კიდეც, მაგრამ რადგან ხალხი საკმაოდ არ შეკრებილა, გამოძიებისათვის მეორე ვადა დაუნიშნავს. ხალხი ძალიან შეწუხებულია ამ შემთხვევით, მაგრამ სიმართლის თქმაც ეშინიანო, დასძენს კორესპონდენტი.

⁂ ს. ნაფარეული: „ივერიის“ მკითხველებს მოეხსენება, რომ ჩვენს სოფელს დიდი ვალი აწევს ნადელების გამოსყიდვისა. ეს ვალი ისე დიდია, რომ არაფერი შეძლება არა აქვს ამ სოფელს გარდაიხადოს რორმე. ლაპარაკია, რომ მთლად ამათ „სანადელო“ მამულების შესყიდვის სურვილი აქვს საუფლისწულო მამულების მმართველობას და გლეხ-კაცობაც თანხმდებაო.

## წლიური კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“.

კვირას, 5 მარტს, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მორიგი კრება შესდგა.

კრება დილის 11½ საათზედ დაიწყო. დაესწრო 36 წევრი. დიდი კამათი ასტეხა იმან, რომ გამგეობას არ მოუყვანია სისრულეში გარდაწყვეტილება შარშანდელის კრებისა, რომელმაც დაავალა მას საჩივარი შეეტანა სენატში კავკასიის სამოსწავლო მზრუნველის მიერ ჩვენი სკოლების შეზღუდვისა და გეგმის გადასხვაფერების შესახებ. გამგეობა მითი მართლულობდა თავს, რომ ეს ძლიერ საფრთხილო საქმე იყო და სანამდის ამგვარივე საჩივარი ქალაქის მიერ შეტანილი არ გარდასწყდებოდა სენატში, ჩვენ საუმჯობესოდ ჩავთვალეთ მოგვეცადაო. დამსწრენი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ჯერ ერთი არაფერი შიში ამგვარს საჩივარს არ მოსდევს, რადგანაც ეს შეადგენს სრულიად კანონიერს დაცვას თავისის უფლებისა [illegible] მოსწავლო გეგმისა და მეორე[illegible] რომ ამგვარი ქცევა [illegible] მის მიერ კრების უფლების [illegible] შეადგენს. ამისი ნება გა[illegible] სრულიად არა ჰქონდა, რი[illegible] იგი საყვედურის ღირსია.

ხანგრძლი[illegible] შემდეგ კრებამ გარდასწყვი[illegible] შესდგეს კომისია, რომელმაც [illegible] გამგეობასთან ერთად შეიმუშა[illegible] ეს საგანი და თუ იმ დასკვნამ[illegible] მივიდეს, რომ არ შეიძლება [illegible] აღნიშნულის საჩივრის სენატში წარდგენაო, — გამგეობამ საგან[illegible] კრება მოიწვიოსო.

შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენება სარევიზიო კომისიისა, რომლიდგანაც აშკარად დასაბუთდა, რომ საზოგადოების საქმეები, შედარებით წარსულ წლებთან, უფრო წესიერად და წარმატებით მიდის და რომ ყოველივე ქონება საზოგადოებისა ხელ-უხლებლად და სრულად არის; ისიც აღმოჩნდა, რომ შარშანდელის სარევიზიო კომისიის მოხსენებას, რომელშიაც სწერდნენ, რომ კომისია „შავის ფიქრებიო“ აღიჭურვა, რადგანაც საზოგადოების ნამდვილი ქონება არ შეესაბამება ანგარიშში აღნიშნულსაო, — თვით კომისიის შეცდომის ბრალი ყოფილა, რომელსაც ჯერ ერთი, რომ ნაღდი ფული საზოგადოებისა სრულიად არ დაეთვალათ და მეორე, რომ რამდენიმე ათასი ბუნების კარი (778 ც.) ძველის გამოცემისა თერთმეტად ჩაეთვალათ და სხვ... გარდა ამისა მყოფის სარევიზიო კომისიის მოხსენების ძალით კრებამ გარდასწყვიტა: 1, დივიდენდი საზოგადოების მდივანსა და მისს თანაშემწეს მიეცეს ხოლმე მხოლოდ ნაღდის შემოსავლიდგან და არა ნისიად გაცემულისა და საკომისიოდ გაგზავნილის წიგნებიდამო; 2, წიგნები საზოგადოების კანცელარიიდგან მიეცემოდეს სანათხოვროდ მხოლოდ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და ისიც ყოველს თითოეულს შემთხვევაში გამგეობამ უნდა გარდასწყვიტოს, შეიძლება თუ არა საჭირო წიგნის გათხოვრება და 3, რომ იმ წევრთა შესახებ, რომელნიც რამდენიმე წლის განმავლობაში არ იხდიან საწევრო ფულს, გამგეობამ მიიღოს რაიმე საშუალება, რადგანაც დიდძალი საწევრო ფული არის ნისიად დარჩენილი.

შემდეგ ამისა დამტკიცდა წლიური ანგარიში. მერე კრება შეუდგა იმის სჯას, თუ რა საქმეს, რა საგანს მოახმაროს საზოგადოებამ ის ხუთას რამდენიმე ათი მანეთი, რომელიც წარმოადგინა თ. ივ. მაჩაბელმა ბროსეს პრემიისათვის შეკრებილი და ითხოვდა, ამ ფულებს დანიშნულება მისცემოდა. ხანგრძლივის სჯის შემდეგ კრებამ დაადგინა, მოჰხმარდეს ეს ფულები საზოგადოების მუზეუმის აშენებას და რადგანაც ბროსეს სახელობაზედ იყო შეგროვილი ფულები, რომელიმე ზალას, ანუ ოთახს მუზეუმისას ეწოდოს ბროსეს სახელი.

შემდეგ კრებამ აღირჩია-რა ახალი წევრები, შეუდგა არჩევას გამგეობის თავმჯდომარისა, წევრებისა და აგრეთვე სარევიზიო კომისიისას. თავმჯდომარედ იქმნა ისევ არჩეული (33 ხმა) თ. ილ. გრ. ჭავჭავაძე. ხმის უმეტესობით წევრებად აღირჩიეს ქ-ნნი ეკ. გაბაშვილისა და ან. თ.-წერეთლისა; ბბ. ნ. ცხვედაძე, ალ. ჭყონია, ი. გოგებაშვილი, ნ. მთვარელიშვილი, გ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, ე. თაყაიშვილი, ივ. ელიაშვილი, პეტ. ყიფიანი და არ. ქუთათელაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად გრ. აბაშიძე, გრ. დიასამიძე, ა. ნატროშვილი, ი. მრევლიშვილი და ვ. რცხილაძეძე.

კრება დაიშალა საღამოს შვიდის ნახევარზედ.

## ნეკროლოგი.

† პავლე ალექსანდრეს ძე იზმაილოვი.

ტფილისში უკვე მოვიდა სამწუხარო ამბავი პავლე ალექსანდრეს ძის იზმაილოვის გარდაცვალებისა, რომელიც ს.-პეტერბურგში იმყოფებოდა ქალაქის საქმეების გამო, იქ გაცივდა და გაციება ფილტვების ანთებად გარდაექცა. იგი გარდაცვლილა კვირას, 5 მარტს, დილის 11 საათსედ. განსვენებულს მცირე ღვაწლი არ მიუძღვის ქალაქის თვით-მმართველობის სამსახურში და საერთო სიყვარულიცა ჰქონდა დამსახურებული თავისის შრომის

---

არა თავისუფალს დროს, კვირა-უქმობით, შეუდგებოდა ჩვეულებრივს ლოთი-ბაშობას და იძახდა: ,,ცოლი მიტირის, თუ შვილი, რომ არ ვიქეიფოვო?!...'' როცა ივანე მხატვარს შემოსწყრა და სხვასთან დაიწყო მუშაობა, კვირა-უქმის მიუხედავად ქეიფობდა და სანამდის ჯიბეებს არ გამოიფიტებდა, არ დაიწყებდა ხოლმე მუშაობას. გადიოდა დრო-ჟამი და სტეფანეს სიბერე უახლოვდებოდა, მაგრამ იმისი ჩვეულება მაინც არ იცვლებოდა; იშოვიდა თუ არა ფულს, შეუდგებოდა ლხინსა და ქეიფს და ამ დროს, ვინ იცის, რა არ უნდა ჩაედინა.

ერთს დღეს ჩვეულებრივ დაიწყო სტეფანემ ქეიფი, თუმცა-კი ჯიბეში ორისა ან სამის აბაზის მეტი არ ჰქონდა, მაგრამ მედუქნეს ისე მოეჩვენა, რომ დააჯერა, ვითომ-და ბევრი ფული მაქვსო; შემოისხა გარს თავისი სწორ-ამხანაგები და სანამდის სრულიად გონება არ დაჰკარგეს, არ დაეთხოვნენ ქეიფს.

მედუქნე ძალიან სცდილობდა, რომ ფული გამოერთმია, მაგრამ რაც არა ჰქონდა-რა, რას გამოართმევდა!.. სტეფანე უშვერის სიტყვებით განშორდა მედუქნეს და წავიდა, მაგრამ სად? თითონაც არ იცოდა... ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, ქრისტეშობის თვის სუსხი, სიცივე გამეფებულიყო ქვეყანაზედ და თავისს სიმძლავრეს ამხელდა ყველას — დიდსა და პატარას: ჰა, გამიფრხილდით, თორემ ვერ გადამირჩებით უვნებლადაო.

მაგრამ სტეფანეს ფიქრადაც არ მოსდიოდა შიში. ის მიწვა ქუჩაში ერთის კედლის ძირას და ტკბილი ხვრინვა ამოუშვა.

განთიადის ჟამი იქნებოდა, როცა პოლიციელმა სიბნელეში ძლივს გაარჩია და ღვიძება დაუწყო. მაგრამ ამაოდ, სტეფანემ სამის დღის შემდეგ ძლივს გაახილა თვალები, მიიხედ-მოიხედა და ძალიან გაუკვირდა, რომ ის ხმელი ფიცრების მაგიერად რბილს სარეცელზე იწვა; მოისურვა წამოდგომა, წამოიწია, მაგრამ წელი ვერ აიტანა; მაშინ მოიკრიბა, რაც ძალ-ღონე ჰქონდა, წამოიწია, მაგრამ ამაოდ... ახლა-კი იგრძნო, რომ სხეულის ყოველი ნაწილი სტკიოდა და ყოვლად შეუძლებელი იყო იმისი ფეხზედ ადგომა.

იმისსავე მახლობლად იწვა სხვა ავადმყოფი და იმისს შფოთვას თვალს ადევნებდა; ბოლოს მოთმინებიდგან გამოსულმა დაუძახა: ,,ძამიავ, რად შფოთავ, რა გინდა? დაუძახე საავადმყოფოს მოსამსახურეს და ეხლავე მოგართმევენ, რაც გინდაო. სტეფანე ამ ხმაზედ შეჰკრთა, გაშტერებული მიაჩერდა ერთს ადგილს და არ იცოდა, საიდგან მოესმა ხმა. ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით გადატრიალდა ცალს მხარეზედ და ნათლად დაინახა, რომ მისსავე მახლობლად სხვა ავადმყოფიც იწვა.

— მე, ჩემო ძმაო, ასე მეგონა ამ სახლში მარტო ვარ მეთქი; მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ჩემს გარდა სხვანიც ყოფილან — მიუგო სტეფანემ.

— მერე, არ იცოდით განა თქვენი აქ ყოფნა?

— არა?

— როგორ-თუ არა! მაშ რამ მოგიყვანათ აქ?

— არ ვიცი!

— არ იცით? თქვენმა მზემ, უცნაური ამბავია!

— მერე ეს სახლი რა არის? ან ვისია? შეეკითხა სტეფანე.

— ნუთუ ეგეც არ იცით?

— ვა! არ ვიცი-მეთქი, — ამაღლებულის ხმით უთხრა სტეფანემ.

— ხა, ხა, ხა, ხა! განა არ იცით, რომ ეს საავადმყოფოა და აქ ავადმყოფებს არჩენენ? სიცილით ეუბნებოდა სტეფანეს მეორე ავადმყოფი...

რაღა თავი მოგაწყინოთ, მკითხველო, ასწორედ ეს იყო სტეფანეს დაუძლურების მიზეზი, რომელიც უკანასკნელს დროს წელში მშვილდივით მოიღუნა და კისერი მგელივით გაუშეშდა. სტეფანე საავადმყოფოში ექვსი თვე იწვა და ექვსს თვეში მხოლოდ იმდენად განიკურნა რომ, ჯოხით სიარული შეეძლო.

სტეფანემ რამდენიმე წელიწადი კიდევ იმუშავა, მაგრამ უკანასკნელს ორს წელიწადს-კი ველარ შესძლო; წელში უფრო მოიღუნა და მუხლშიაც სრულიად გამოელია ღონე: ახლა იჯდა მიკიტნის დუქნის წინ და შემსვლელ-გამომსვლელნი თუ მიაწოდებდნენ რასმეს, თორემ სხვა არავითარი ღონისძიება არ მოეპოვებოდა. ის ამ უკანასკნელს დროს ხშირად იტყოდა ხოლმე: „ნეტავი მოვკვდე და მოვრჩე ამ სამათხოვრო ცხოვრებასო!..“ მაგრამ თითქოს სიკვდილსაც უღირსად ეცნო სტეფანე; მთელს ორს წელიწადს არ აღირსა თავისი მოწყალება.

ერთს დღეს სტეფანე ძალიან შეწუხდა და იგრძნო თავისი უკანასკნელი ჟამი თუ არა, დაუძახა გულკეთილს მედუქნეს, რომელიც იმას ინახავდა.

— თუ ღმერთი გწამს, მღვდელი მომგვარე, უთხრა ხვეწნა-მუდარით სტეფანემ და სრულიად მიმქრალის თვალებიდგან ცრემლები გადმოჰყარა. მედუქნემ მღვდელი მოჰგვარა, მაგრამ გვიან-ღა იყო. იმას უკვე მიჰხდოდა გონება და „სოფლით გაღმა გაებიჯა“.

მღვდელმა საცდელად დაუძახა: ,,შვილო, მიიღე წმიდა საიდუმლო, რათა შეგინდოს მოწყალე ღმერთმა შეცოდებანი“-ო. სტეფანემ ამ ხმაზედ ერთი კიდევ გაახილა თვალები და კანკალით წამოიძახა: ვე...ვდები მაგრამ ველარც-კი დაასრულა და განუტევა სული...

დ. ნინოწმინდელი.

მოყვარეობითა, გონებითა და საქალაქო საქმეების ცოდნით და იმისმა უდროოდ გარდაცვალებამაც საერთო მწუხარება გამოიწვია. ამ ჟამად ვბეჭდავთ მხოლოდ რამდენსამე ცნობას განსვენებულის შესახებ.

აწ გარდაცვალებული აზნაური პავლე ალექსანდრეს ძე იზმაილოვი, სარწმუნოებით სომეხ-გრიგორიანი, დაიბადა, 1852 წელს. სწავლა მიიღო ტფილისის კლასიკურს გიმნაზიაში და იყო აგრეთვე პეტერბურგის უნივერსიტეტის ბუნებას-მეტყველების ფაკულტეტის პირველს კურსზედ. აქ ერთმა სამწუხარო ამბავმა იძულებულ ჰყო სწავლისათვის თავი დაენებებინა და წასულიყო საზღვარ-გარეთ, პარიზში, სადაც მან კარგად შეისწავლო იქაური წეს-წყობილება. 1876 წ. 20 დეკემბერს იგი ამორჩეულ იქმნა სამის წლით ქალაქის მდივნად. 1879 წლის 19 დეკემბერს ამავე თანამდებობაზედ იქმნა ამორჩეული კიდევ ორის წლით და შემდეგ კიდევ ერთის წლით. 1883 წლის 31 იანვარს იგი ამორჩეულ იქმნა მდივნის თანამდებობაზედ ოთხის წლით, ხოლო 1883 წლის 2 მაისს გამგეობის წევრის კანდიდატად. 1883 წლის 23 ივნისიდგან 1 დეკემბრამდე ასრულებდა თანამდებობას ქალაქის გამგეობის წევრისა და ქალაქის მდივნისას ერთად. შემდეგ ქალაქის გამგეობის უფროსის წევრის თანამდებობას ასრულებდა 1884 წლის 28 დეკემბრამდე და ამ დროს-კი ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებლად ამოირჩიეს. ამ თანამდებობისათვის თავი არ დაუნებებია განსვენებულს 1893 წლის 7 ნოემბრამდე, როდესაც იგი ოთხის წლით ამორჩეულ იქმნა ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ. განსვენებული ჯვარ-დაწერილი იყო გენერალ-მაიორის ქვრივ ქ ნ ლიდია ივანეს ასულ ისაკოვისაზედ და დარჩა ხუთის წლის ობოლი ვაჟიშვილი იური.

განსვენებული სრული თხუთმეტი წელიწადი ემსახურა და ამ დროს განმავლობაში მიიღო ქალაქმაც რიგიანობის ელ-ფერი. ამ დროს განმავლობაში გაკეთდა ორივე ხიდი, ქალაქის შენობა, გამოყვანილ იქმნა ავჭალის წყაროს წყალი და სხ. მრავალი საქმე, რამაც ქალაქი წინ წასწია და გააკეთილრიგა. ქალაქს ელექტრონის განათება აღარ აკლდა და განსვენებული ამ საქმის ზრუნვაში იყო უკანასკნელს დროს, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა პეტერბურგში მოუსწრო სწორედ მაშინ, როდესაც იგი იმისათვის წავიდა, რომ მიელოცა ქორწინება ხელმწიფე იმსათვის და ამასთან ქალაქის პერატორი საქმეებისათვის ეშუამდგომლა.

ეს მცირე ნუსხა მისის მოღვაწეობისა აშკარად ამართლებს იმ სიტყვებს, რომელიც დეპეშით მისწერა ქალაქის გამგეობამ განსვენებულის ქვრივს: «თავისი სიცოცხლე განსვენებულმა ტფილისის სამსახურს შესწირაო». განსვენებულის მოღვაწეობა, მისნი საქმენი ყველას თვალ-წინ მიმდინარეობდა, ყველას კარგად ახსოვს და, რასაკვირველია, ყველა დიდად ჰგრძნობს იმ დიდს დანაკარგს, რომელიც ჩვენს ქალაქს მოუვიდა. განსვენებული დიდი მუშაკი იყო და ხანგრძლივაც იცოცხლებდა, ჩრდილოეთის მკაცრ ბუნების გამო დაწყებულს სნეულებას რომ არ მოესპო სიცოცხლე 43 წლის ჯან-საღისა და ჰარმაგის კაცისათვის.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი უდროოდ წუთი-სოფელს გამოსალმებულო პავლე ალექსანდრეს ძევ!

ა. ა—ვი.

## კორესპონდენცია.

**ს. ალიბეგლო**, (ზაქათალის ოლქი). ამ სოფელში სცხოვრებენ ქრისტიანი ინგილოები—რიცხვით ას ოცდა-ათ კომლამდის. მთელს ოლქში-კი ექვსას კომლამდის ქრისტიანი ირიცხება; დანარჩენი (მომატებული)-კი მუსულმანები არიან. ეს უკანასკნელნი არც ქრისტიანობას არიან დაშორებულები. იგინი ქრისტიანობას მამა-პაპის სჯულად სთვლიან; დღეს-კი ესენი მეჩეთში ლოცულობენ. მიუხედავად ამისა, ბევრი მუსულმან ინგილოთაგანი დღესაც არ ივიწყებენ ქრისტიანულს წეს-ჩვეულებებს. ამ ორის თვის წინად ერთმა მუსულმან ინგილოთაგანმა წაიღო აქაურის მღვდლისაგან წმიდა სანთელი სახლში სახმარებლად. 5 თებერვალს კიდევ ერთმა ქრისტეანმა ინგილომ დაჰკლა ზვარაკი ადგილობრივ ეკკლესიის ეზოში და მღვდელს პარაკლისი გარდაახდევინა. ამ ინგილოს ლაპარაკიდგან აღმოჩნდა, რომ მისის ამ გვარის საქციელის მიზეზი მკითხავი ყოფილა, სოფ. ალიაბათის მცხოვრები (ინგილო), სჯულით მუსულმანი, რომლის დარიგებითაც მივიდა იგი სალოცავად. ზემოხსენებული მაგალითები ცხადად გვიმტკიცებენ, რომ მუსულმან ინგილოებს ჯერ არ დაჰვიწყებიათ ქრისტიანობა და ისევ ნათლად აქვთ იგი წარმოდგენილი. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ისინი მაინც არ აცხადებენ გაქრისტიანების სურვილს. არამც თუ მუსულმანები, ქრისტიან ინგილოთაგანნიც-კი უდგებიან ქრისტიანობას და მუსულმანობას ჰრჩეობენ. ეს უკანასკნელი გარემოება დიდად სამწუხაროა ჩვენთვის, რადგან სარწმუნოების დაკარგვა ასუსტებს და ართმევს დამკარგავს სამშობლო ენასაც. ამას ცხადად გვიმტკიცებენ დღევანდელი მაგალითები. სოფ. უანდახას, ვერხიანის და სხვა, რომელთა მკვიდრნიც შესდგებიან მუსულმან ინგილოთაგან, დღეს მხოლოდ თათრულად ლაპარაკობენ. სოფ. ბელაქანის ქართველები მარტო ლეკურად; ქართული ენა-კი დავიწყების ნიადაგზედ დაუთესნიათ. თუ საქმის გარემოებამ დიდ ხანს გაგრძელდა ამნაირად, უეჭველია, რომ ზემოხსენებულის მაგალითების (ენის დაკარგვა) რიცხვი იმატებს.

ნუ თუ არც ქრისტეს სჯულს, არც ქართულს ენას გულშემატკივარი არ გამოუჩნდება? სამარცხვინო კი იქნება, რომ ვინმე ინგლისელ ან გერმანელ მისსიონერმა შეისწავლოს ქართული ენა და დაიწყოს მოღვაწეობა ამ თითქმის ჩვენთვის დაკარგულს ერში.

მაგრამ ჯერ კიდევ დრო არის და თუ ჩვენი სიყვარული მამულისა და სარწმუნოებისა ჭეშმარიტია და არა საფეხური ხარისხების მისაღებად, უთუოდ მალე გამოჩნდება ისეთი კაცი, რომელიც გაეშურება, გამაჰმადიანებულს ქართველებში აღადგინოს ქართული ენა და შეიტანოს ისევ ლამპარი ქრისტიანობისა.

მათურელი.

## ქართულის გალობის გამო ქუთაისში.

ყოველს კეთილს საქმეს, რომელსაც აზრად აქვს მოუტანოს სასურველი ნაყოფი ჩვენს დაქვეითებულს საზოგადოებას, ყოველს ბეჯითს მოღვაწეს და ქველ-მომქმედს კაცს, რომელიც თავ-გამოდებით იბრძვის საზოგადოებისათვის, არ ჰზოგავს თვისს შრომასა და ენერგიას, ოღონდაც-კი ცოტაოდნად მაინც გააუმჯობესოს ახლანდელი ჩვენი მდგომარეობა, აი სწორედ ამისთანა პირებს იმის მაგიერ, რომ დახმარება აღმოუჩინონ და მხარ-და-მხარ ამოუდგნენ გვერდში, აბრკოლებენ, წინ ეღობებიან და ძირს უთხრიან მათს ნამოქმედარს.

მოვიყვან ერთს მაგალითს: ქ. ქუთაისში, კარგა ხანია, რაც იმერეთის ეპისკოპოსის მგალობელთა გუნდის ლოტბარად იმყოფება ანდრია სვიმ. ბენაშვილი. რა სარგებლობა მოიტანა ბენაშვილმა ჩვენში, ამას დაგვანახვებს მისი დაუღალავის შრომის ნაყოფი; მგალობელთა გუნდი ჩინებულად ჰყავს გაწრთვნილი და დახელოვნებული; შეასწავლა მგალობლებს საუკეთესო კონცერტები. ბ-ნი ბენაშვილი თანასწორად ჰზრუნავს, როგორც რუსულის, აგრეთვე ქართულის გალობისთვისაც.

ბ-ნმა ბენაშვილმა პირველი ნაბიჯი გადადგა ჩვენებურის გალობის აღსადგენად. მან პირველად გადიღო ნოტებზედ ოქროპირის წირვის წესი და რამდენიმე საუკეთესო ქართული სიმღერები*), ქართლ-კახური კილო წირვისა გადიღო კარბელაშვილის დახელოვნებულ მგალობლების მეოხებით; ლოცვა-ცისკრის წესი მიაწოდა ტფილისიდგან მღვდელმა ბოლოდინაშვილმა.

ბენაშვილმავე, როგორც გალობის მცოდნემ, დააყენა ოთხს ხმაზედ წირვა, ლოცვა და მწუხრის საგალობელნი; ოთხს ხმაზედ კილოს შეუცვლელად აგალობებს ქუთაისის საკათედრო ტაძარში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორიოდ საგალობელით მან იმერულიდგან ისარგებლა, რადგან არ ჰქონდა კარბელაშვილის კილოზედ გადაღებული. ეს ერთი-ორი იმერული საგალობელნი გადაიღებინა მას რაჟდენ ხუნდაძემ. სწორედ სასიამოვნოდ და სანუგეშოდ უნდა ჩაითვალოს, ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენის ბედ-იღბლის წაღმა ბრუნვას, ბ. ბენაშვილის ესეთი შრომა! ამისთანა მოღვაწეებს ჩვენში ბევრს ვერ შევხვდებით; ამისათვის გულწრფელად უნდა ვაფასებდეთ და სასიხარულოდ უნდა მიგვაჩნდეს, თუ-კი ვინმე აღმოჩნდება.

სწორედ ასეთ მოღვაწედ უნდა ჩაითვალოს დღეს ბ-ნი ანდრია ბენაშვილი. მაგრამ ბ-ნმა ივლ. წერეთელმა არ შეხედა საქმეს ამ გვარად და იმდენის ხნის ერთგული შრომა ბენაშვილისა ქართულის გალობის აღსადგენად დაჰგმო ერთიანად. სამწუხარო აქ ის არის, რომ ამ დაგმობას ისეთი ხასიათი მიეცა, რომელსაც სამართლიანობის კვალი არ აჩნევია.

ბ-ნი ივლიანე წერეთელი ამბობს თავისს ქაღალდში, რომელიც მიართვა იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, რომ ბენაშვილის გალობა დამახინჯებულია და თავისებურად გადაკეთებულიო.

მერე იქნება იკითხოთ,—რითი აქვს დასაბუთებული ბ-ნს ივლ. წერეთელს ასეთი თავისი აზრიო?—ამაზედ მე-კი არა, იმედი მაქვს, ვერც თითონ ივლიანე წერეთელი იტყვის რასმეს!

ამას გარდა ბ-ნი ი. წერეთელი აბრალებს ბენაშვილს, ვითომ მას ქორიძისაგან გადაღებული ნოტები მიესაკუთრებინოს და დაემალოს. ეს სრულებით უსაფუძვლოა და სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც ის ნოტები ბ-ნის ქორიძისა თვით მღვდელთ-მთავრის გაბრიელის სახლში აღმოჩნდა.

ამის შემდეგ ადვილად მისახვედრია, რამდენად საფუძვლიანია დანარჩენი ბრალდება ბ-ნის წერეთლისა? რადგანაც ქართულის გალობის ხეირიანად მოწყობა ერთ უდიდეს საქმედ მიმაჩნია, ამიტომ საჭიროდ დავინახე ხმა ამომეღო ამ შემთხვევაში და ჩემი თანაგრძნობა გამომეცხადებინა იმ მოღვაწესათვის, რომლის ერთგულს შრომასა და ჯაფას ვაკვირდები აგერ რამდენი ხანია.

ქართულის გალობის მოყვარე.

ქუთაისი, 1 თებერვალს.

*) ამ საუკუნეში, როდესაც ქართველებს სხვა-და-სხვა ერი გარს ახვევია, ქართველებში ძალიან გავრცელდა ევროპიული სიმღერები, თვით დაშორებულ სოფლებშიაც-კი; ამიტომ სწორედ კარგ განძად უნდა ჩაითვალოს ქართულის სიმღერების ნოტებზედ გადაღება.

## რუსეთის ცხოვრება.

გაზ. „მოსკოვ. ვედომ.“ გაუგონია, რომ პეტერბურგში ხმა დადის, ვითომ გრაფი დელიანოვი კანცლერად დაინიშნებაო, ნ. პ. შიშკინი სტამბოლის ელჩათა, გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწედ—ბიუტოვი და ნელიდოვი-კი—ვენის ელჩათაო.

—

უმაღლესად ნაბრძანებია, რომ ამიერიდგან საკადეტო კორპუსებში შემოღებულ იქმნას იურისპრუდენციის შემოკლებით სწავლება.

—

„გრაჟდანინ“-ის სიტყვით საერო განათლების სამინისტრომ უარ-ჰყო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის პროექტი, რომელიც რეალურ სასწავლებლის პროგრამმის შეცვლას ეხებოდა.

—

სახელმწიფო საბჭოში მალე განხილულ იქნება წესდება, რა რიგად და რა წესით უნდა გაიცეს სესხი სხვა-და სხვა სამეურნეო საჭიროებისათვის. განზრახულია, სხვათა შორის, სესხი მიეცეს ხეხილებისა და ვენახის გაშენების მსურველთ.

—

ამ დღეებში ოდესის ტეხნიკურს საზოგადოებას გამოუცდია ახალი ლოკომოტი. რომელიც ერთს რუსეთის ქარხანას გაუკეთებია. გამოცდამ აღმოაჩინა, რომ ახალის სისტემის ლოკომოტივს შეუძლიან ერთს საათს ასი ვერსი გაირბინოს. ასე რომ, თუ ვეღირსეთ და მოხერხდა ამიერ-კავკასიის გზაზედ ამ ლოკომოტივის შემოღება, მაშინ ტფილისიდგან ქუთაისს ორს საათს მოუნდება კაცს მგზავრობა.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** 4 მარტს ინგლისში მუშათა გაფიცვა უნდა მომხდარიყო. მიზეზი გაფიცვისა ის არის, რომ მეფაბრიკეებმა ფასი დაუკლეს მუშახარაზებს და სამუშაოს განგებ სოფელ-სოფელ მცხოვრებს ხარაზებს აძლევდნენ, რომ უფრო იაფად დასჯდომოდათ. ამითი მუდმივს მუშებს საზრდო აკლდებოდათ და ამიტომ განიზრახეს მათ გაფიცვა. გაფიცებულთა რიცხვი 200,000 კაცზედ ნაკლები არ იქნებაო. სავაჭრო და სამრეწველო დეპარტამენტის სცდილობდა მედიატორობა გაეჩინა მუშათა და მეფაბრიკეთა შორის, მაგრამ ამაოდ ჩაუარა სურვილმა. ამ ამბებმა თავისზედ-გავლენა იქონიეს კიდეც: ლიდსში ამ ჟამად ტყავების საგანგებო ვაჭრობა არის გამართული და თითქმის არაფერი-კი არ იყიდება.

—

**იტალია.** იტალიაში გარდაიცვალა მოხუცებული მწერალი ჩეზარე კანტუ, რომლის თხზულებანი, როგორც იწერებიან, 200 ტომამდე შესდგებაო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 მარტი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორს სურვილი გამოუცხადებია მენდლებით დააჯილდოვოს ყველა, ვინც-კი მისს ქორწინებას დაესწრო და იმ დეპუტაციას, რომელმაც მილოცვა მიართვა. მენდლებზედ ამოჭრილი უნდა იყოს ერთს გვერდზედ მათის უდიდებულესობის სახელი და მეორე გვერდზედ-კი დაქორწინება.

დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე ალჟირში წავიდა.

**კორფუ.** მემკვიდრე ცესარევიჩი ალჟირისაკენ წაბრძანდა.

**პარიზი.** ისპანიის გემმა ორჯელ ესროლა უტყვიოდ გატენილი ზარბაზანი ამერიკის გემს »Alliance“-ს. „Alliance“ მა ბაირაღი აფრიალა და თავისს გზაზედ მიდიოდა მაინც. მაშინ ისპანელმა გემმა 3-ჯერ ესროლი ტყვიით გატენილი ზარბაზანი, მაგრამ ზიანი ვერა მისცა-რა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭომ უნდა განიხილოს პროექტი, რომლითაც განზრახულია თამბაქოს მომყვანთათვის საჭირო სესხის მიწოდება.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოს“ ნამდვილის წყაროებიდგან გაუგია, რომ ჩინეთი მხოლოდ ოთხს სახელმწიფოს სთხოვს დახმარებას იაპონიასთან მორიგების ჩამოგდებისათვის. ეს სახელმწიფოებია: რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი.

4 მარტი.

**მადრიდი.** ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩი ისპანიის მთავრობას სთხოვს დაკმაყოფილებას გემის „Alliance“-ის შესახებ.

6 მარტი.

**პეტერბურგი,** 6 მარტი. ელისავეტგრადის კავალერიის სასწავლებლის იუნკრებმა 399 მანეთი გაიღეს მოსკოვში იმპერატორის ალექსანდრე III ძეგლის ასაგებად. ამის შესახებ მოხსენებას ხელმწიფე იმპერატორმა მოაწერა: «კმაყოფილებით წავიკითხეო».

გაზეთების სიტყვით გერმანიის ელჩი გენერალი ვერდერი სხვა თანამ-

დებობაზედ გაუწვევიათ. ვერდერის მოადგილედ გრაფს გერბერტ ბისმარკსა და ბრიუსელელს ელჩს გრაფს ალვენსლებენს ასახელებენ.

**პარიზი**, 5 მარტი. დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე პეტერბურგს გაემგზავრა.

**ბერლინი**, 5 მარტი. „Post“-ი იუწყება, რომ ჩრდილო არხის გახსნა 19 ივნისისათვის არის დანიშნული.

**ვენა**, 5 მარტი. გაზეთები ამტკიცებენ, რომ 3 აპრილს გერმანიის იმპერატრიცა შვილებითურთ აბბაცოში მიბრძანდებაო.

**მადრიდი**, 5 მარტი. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა პარლამენტში, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ გემის „Alliance“-ს შემთხვევის გამო დაკმაყოფილება მოითხოვაო. ისპანიის მთავრობა თანახმაა დააკმაყოფილოს რესპუბლიკის მთავრობა, მაგრამ, ისე-კი, რომ ისპანიის ღირსება არ იქმნას დამცირებულიო.

---

პეტერბურგისბირჟა, 17 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | 7,43 |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | „ — | 211 |
| 4 1/2% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | 101 5/8 | — „ | 101 7/8 |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | 99 | — „ | 99 3/8 |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 7/8 | — „ | — „ |

---

## „ივერიის“ ფოსტა.

—

**მაყურებელს.** გვწერთ, „ივერიას“ მტრები ჰყავსო. ის მტრები გაზეთს ვერას დააკლებენ, მხოლოდ სამწუხარო-კი არის, რომ თავისს დროს ისინი შურსა და მტრობას ანდომებენ. მაგრამ ნამდვილი მტერი-კი ჩვენის გაზეთისა თქვენა ჰყოფილხართ. აბა, რა არის თუ არ ჩვენი მტრობა იმისთანა ამბების მოწერა, რომელთა წაკითხვამაც უბრალოდ დრო დაგვაკარგვინა!

—

**ჩითან თალაყვაძეს.** ძნელი დასაჯერებელი არის, რომ ოზურგეთის საბოქაულოში გადაახდევინოს ვინმემ ის „ნედოიმკები“, რომელიც მანიფესტის ძალით ნაპატიები არის. ნუ თუ სამაზრო ადმინისტრაციამ არ იცის მანიფესტის ძალა?

—

**ქიევი. ვ. წ.** წერილი „გვიშველიან თუ არა ბანკები“ არ მიგვიღია.

---

# განცხადებანი

## მოსამზადებელი კლასები და იმათი დანიშნულება.

—

მთავრობის ნება-დართვით, მდგომარე წლის პირველ მარტიდგან ვაარსებ ქ. ტფილისში მოსამზადებელს კლასებსა. ვალად ვრაცხ ჩემს თავს გავუზიარო ქართველს საზოგადოებას აზრი და დანიშნულება ჩემ მიერ დაარსებულის სასწავლებლისა. აზრი მისის დაარსებისა არის: მომზადება ყმაწვილებისა საშუალო და სხვა სასწავლებელთა მოსამზადებელსა და პირველს კლასში მისაღებად. მაგრამ, მომზადებაც არის და მომზადებაც: ზოგი ისე ამზადებს ყმაწვილს, რომ წინ მდებარე პროგრამის გაზეპირების მეტს არას დასდევს და ბოლოს ის მოხდება ხოლმე, რომ ყმაწვილი, თუმცაკი მიიღეს სახელმწიფო სასწავლებელში, მაგრამ სრულებით მოუმზადებელი ყოფილა საშუალო სასწავლებლის სწავლისათვის! შედეგი ამგვარის ერთ-მხრივის მომზადებისა უმეტესს შემთხვევაში ერთია: ყმაწვილი ვერ იტანს სწავლის სიძნელეს და უდროოდ ესალმება სკოლას!.. აზრი ჩვენის კლასებისა უფრო ვრცელია: მივცეთ ყმაწვილებს იმდენად საფუძვლიანი სწავლა-აღზრდა, რომ ისინი, არა თუ მიღებულ-იყვნენ საშუალო სასწავლებლებში, არამედ შემდეგის, უფრო ძნელისა და რთულის სწავლის დაძლევა შესძლონ... შესრულება ამისა—ჩვენის გამოცდილებისა და მთლად ჩვენის სკოლის სწავლა-აღზრდის მოწყობის საქმეა. მაგრამ, რადგანაც ამის ყოვლის სისრულით აღწერა შორს წაგვიყვანს, ამიტომ აქ დავასახელებთ მხოლოდ იმ საფუძვლებს, რომლებზედაც დაარსებული იქნება ჩვენი სკოლის სიცოცხლე-მოქმედება.

1) უმეტესს შემთხვევაში ბავშვებს არა აქვთ სრული და ნამდვილი წარმოდგენა მათ გარშემო მყოფ საგნებზე; მოსამზადებელი სკოლის კალია: შეავსოს და შეასწოროს ეს წარმოდგენანი.

2) ბავშვებს ხშირად აკლიათ სულ უბრალო ცნებაც მრავალ იმისთანა საგნებზედ, რომლებიც ყოვლად გასაგებია მათთვის; მოსამზადებელი სკოლის კალია: გააცნოს ისინი ამ საგნებს და მით გაამდიდროს გონება მათი ახალის წარმოდგენებითა და ცნობებით.

შესრულება და განმტკიცება სწავლის ამ ორის საფუძვლისა ყველაზედ უკეთ შეიძლება სწავლით თვითონ საგანთან, თვითონ მოვლენასთან, წიაღსა შინა თვით ბუნებისა და ცხოვრებისა, ამიტომ ეგრედ წოდებული მიმოხილვა სამეცნიერო აზრით (ექსკურსიები) და თვალ-საჩინო და გამოცდილებითი სწავლა იქნება სული და გული მთლად ჩვენის სკოლის მოქმედებისა.

3) ყმაწვილები ფიქრობენ უფრო საგნებით, საგნური წარმოდგენებით მათთვის გასაგებია უფრო საგნური ცნობანი (конкретныя понятія); მოსამზადებელის სკოლის კალია: მიაჩვიოს იგინი განყენებულს ფიქრსა და აზროვნებას, ასწავლოს მათ განყენებულის აზრების გაგება.

შესრულება და განმტკიცება ამ ორის საფუძვლისა ყველაზედ უკეთ შეიძლება წერა კითხვით და არითმეტიკულის საფუძვლებისა და ამოცანების განმარტებით; ამიტომ, მოსამზადებელის სკოლის კალია: ა) მარდად და საფუძვლიანად ასწავლოს ანბანი; ბ) ყოველის სისრულით შეასწავლოს წერა-კითხვა და გ) მარდად და საფუძვლიანად გააცნოს მოსწავლენი არითმეტიკის დასაბამს საფუძვლებსა.

4) ყმაწვილებმა საზოგადოდ ცუდად იციან ენა, ლაპარაკი; მოსამზადებელის სკოლის კალია: ზედ მიწევნით ასწავლოს ყმაწვილებს ლაპარაკი, მეტყველება, რომელიც, განსვენებულის უშინსკის თქმით, არის საძირკველი წერითის მეტყველებისა. ხოლო, რადგან სიტყვიერი მეტყველება დაფუძნებულია აზროვნებაზედ და განვითარება-ვარჯიშობზედ, ამიტომ, მოსამზადებელის სკოლის კალია: მისცეს მოსწავლეებს ისეთი ვარჯიშობანი, რომლებიც აღძრავენ მათში აზრსა და ამ აზრის გამოსათქმელს სიტყვასა.

5) სწავლა მიდის წარმატებით, როდესაც შეთანხმებულია მოსწავლის პიროვნებასთან, მისს პიროვნულს ნიჭთან და ცოდნასთან. მოსამზადებელის სკოლის კალია: მისცეს ნიჭს ყოველის საგნის შესახებ თავისებური განვითარება და მიმართულება. ეს არის ერთი უძნელესი საქმე პედაგოგიისა, მაგრამ, ჩვენ მაინც იმედი გვაქვს განხორციელება სწავლის იმ დიდის საფუძვლის შემოღებით, რომელსაც ეწოდების საგნური კლასები, სადაც მოსწავლენი დანაწილებულნი არიან იმის-და-მიხედვით, თუ რა საგანი უკეთ იციან.

6) ყმაწვილებს საზოგადოდ არ შეუძლიანთ განსჯა მოვლენათა საზნეობო სფეროში. გასაგებია აქ მათთვის მხოლოდ ის, რაც გაიგება გულით, გრძნობით; ამიტომ მოსამზადებელი სკოლის კალია: გააკეთილშობილოს ეს უმთავრესი სალსარი ყმაწვილების ზნეობის, განვითარებისა განსაკუთრებით გრძნობა სიყვარულისა მოყვასთადმი. მოხსენებულის განსახორციელებლად მიმართული იქნება, არა მხოლოდ საღმრთო სჯულისა და საზნეობო გაკვეთილები, არამედ თვით დისციპლინაც სკოლისა: ეს უკანასკნელი დამყარებული იქნება მამობრივს სიყვარულსა და კეთილ-მოქმედებაზედ. ამავე მიზეზითვე განდევნილი იქნება ჩვენის სკოლიდგან ყოველგვარი სასჯელი...

7) წარმატება სწავლა-აღზრდისა ბევრად დამოკიდებულია სკოლისა, მასწავლებელთა და თვით საზოგადოების კეთილ-განწყობილებასა და ურთიერთობაზედ; სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებასა და ერთსულოვნებაზედ.

ჩვენი სასწავლებელი ეცდება პედაგოგიური რჩევების გამართვით, სადაც განიხილება და შემუშავდება ყველა სასწავლებლის მასწავლებელთა მოქმედების გეგმა, მშობლების დასწრებას ამ გვარს კრებაზედ ჩვენ მივეგებებით მარად დიდის სიამოვნებით...

—

შეგირდებად მიიღებიან ყმაწვილები არა ნაკლებ შვიდისა და არა უფროს თორმეტის წლისა. სასწავლებელში იქნება სამი განყოფილება: პირველი ორი განყოფილება მოამზადებს ყმაწვილებს საშუალო სასწავლებლის მოსამზადებელის კლასისათვის, ხოლო მესამე—პირველის კლასისათვის. სწავლა დაიწყება ზამთრობით დილის ცხრა და ზაფხულობით დილის რვა საათზედ. თითოეულს განყოფილებაში იქნება ექვს-ექვსი ორმოც წამიანი გაკვეთილი. მიღება მოსწავლეთა დაიწყება დღეიდგან, ხოლო სწავლა პირველ მარტიდგან. სწავლის ფასი შეგირდმა თვეში 6 მანეთი უნდა შემოიტანოს.

როცა მოსწავლეთა რიცხვი 80-ს მაინც მიაღწევს, სკოლა გარდაკეთდება ექვს განყოფილებად. ამგვარად უნდა განვახორციელოთ ჩვენი აზრი ნახევარ ნახევარის წლით სწავლის შესახებ, ე. ი. რომ მოსწავლეთა გადაყვანა კლასიდგან კლასში ხდებოდეს წელიწადში ორჯელ, რითაც, სრული იმედი გვაქვს, დავუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ახლანდელი კურსი ექვსის წლისა, ადვილად შესაძლებელია, შესრულდეს სამს წელს... ვაუწყებთ-რა საზოგადოებას ჩვენს მისწრაფებას, იმედი გვაქვს, რომ თანაგრძნობას არ მოგვაკლებს შესახებ ამ საქმისა...

სკოლა იმყოფება ვერაზედ, სალდათის ქუჩაზედ, ფოსტის ცხენების სადგურის პირ-და-პირ, ივანე ენიკოლოფოვის სახლებში, № 7.

ი. პ. როსტომაშვილი.

---

## ქართველთა ამხანაგობისაგან.

პასუხად ქუთაისიდგან მიღებულის წერილისა და ყოველთა საცნობლად ვაცხადებთ, რომ თ. აკაკი წერეთლის უკვე დაბეჭდილისა და დაუბეჭდავის ნაწერების ცალკე გამოცემა შესყიდული აქვს ქართველთა ამხანაგობას 1892 წ. ოქტომბრის 16-ს ნოტარიუსის წესით ხელ-შეკრულობის ძალით. ვინც ამხანაგობის ნება-დაურთველად გამოსცემს ზემო-ხსენებულის ავტორის ნაწერებს, სამოქალაქო პასუხის გებაში მიეცემა.

---

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი.** ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7 1/2 საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

დიდი სააბრეშუმო ქარხნები **მოლტიფაოში**: (კორსიკის კუნძულზედ, საფრანგეთში) **აბრეშუმის ჭიისა** ცელიულიარული **თესლი** (პასტერის სისტემით მომზადებული).

## ი. ალოიზისა.

მსყიდველთ შეუძლიანთ თესლი დაიბარონ ტფილისიდგან, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისაგან და ქ-ნ დ. სულხანიშვილისაგან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 39, თესლი ისყიდება 3 და 5 მისხლიან კოლოფებით; მისხალი 60 კაპეიკად.

(6—869—6)

---

ამ დღეებში გამოვა გასაყიდად

თ. რაფიელ ერისთავის

## თხზულებანი

პირველი ტომი

რომელშიაც მოთავსებულია ყველა ლექსები და არაკები; წიგნი შეიცავს 400 გვ. ავტორის პორტრეტით და ფაქსიმილეთი.

---

მეფე დავით აღმაშენებელი

**და იმისი დრო**

ისტორიული მონოგრაფია

ნ. ურბნელისა

**ფასი ორი აბაზი**

---

## ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხნები

## ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა

ამ მიმდინარე დიდ-მარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ საჭმელში სახმარებლად: შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირე (кастор. масло), სალამპრო და მოხარშული დასაფერად, გვაქვს აგრეთვე პირველის ღირსების საპონი: ტყვიისა, მარმარილოსი და ზეთისა. ბოთლობით ისყიდება კავკასიის საათფთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ ჯოვანთან, სახლი დობრჟანსკისა და ვორონცოვის ძეგლთან, დარჩო ბაქაროვთან, ნიკოლოოზის ქუჩა, ალექსანდრე—ნეველის ეკკლესიის პირდაპირ და ჩალმაიანცთან, სახლი № 1, პანასევიჩის ქუჩა.

წვრილ-წვრილად სყიდვა შეიძლება საკუთარს მაღაზიებში მიხეილის ქუჩაზედ, სახლი კარალოვისა, ძეგლთან, იარმუკაზედ ბუღდანოვის სახლი, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა, ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და ოლღას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლი.

ერთიანად სყიდვა შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი.

საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის აკვები ჩენჩო.

(10—982—5).

Дозвено цензурою, Тифлисъ 6-го Марта 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე